**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება № 01-11/115**

11... დეკემბერი, 2018 წ. ქ. ბათუმი

**ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს დამტკიცების შესახებ" რექტორის 2018 წლის 19 ოქტომბრის №01-08/137 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 30 ოქტომბრის №01-08/144 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 29 იანვრის N1 გადაწყვეტილების, უცხო ენების პროგრამული მიმართულების კოორდინატორის, ასოცირებული პროფესორი ნელი ახვლედიანის 2018 წლის 5 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის (№1420525) საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამების წარმართვის მიზნით განისაზღვროს საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალის (სპეციალისტები/მასწავლებელთა პერსონალი) და მიმართულების კოორდინატორის სამუშაო დატვირთვის მოცულობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა შემდეგნაირად:

**1.1. მოწვეული პერსონალისათვის** - ერთი ასტრონომიული საათი - **20 (ოცი) ლარის** ოდენობით, **6-8 მსმენელით** დაკომპლექტებულ ჯგუფში (დასაშვებია გამონაკლისი: არაუმეტეს 11 მსმენელი ჯგუფში; 6-ზე ნაკლები მსმენელის შემთხვევაში, მათივე თანხმობით, მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ტოლფასი სწავლის საფასურის გადახდის პირობით);

**1.2. მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა:**

ა) A1/A2 დონის უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, პოლონური და სხვა) შემსწავლელ პროგრამაზე მოწვეული მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **80 (ოთხმოცი)** ასტრონომიული საათით;

ბ) B1.1/B1.2 დონის უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, პოლონური და სხვა) შემსწავლელ პროგრამაზე მოწვეული მასწავლებლის

საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **60 (სამოცი)** ასტრონომიული საათით;

გ) B2.1/B2.2 დონის უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, პოლონური და სხვა) შემსწავლელ პროგრამებზე (თითოეულზე) მოწვეული მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **70 (სამოცდაათი)** ასტრონომიული საათით;

დ) C1.1/C1.2 დონის უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, პოლონური და სხვა) შემსწავლელ პროგრამაზე მოწვეული მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **70 (სამოცდაათი)** ასტრონომიული საათით;

ე) C.2 დონის უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული, პოლონური და სხვა) შემსწავლელ პროგრამაზე მოწვეული მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **100 (ასი)** ასტრონომიული საათით;

ვ) პროფესიული უცხო ენების (ტურიზმის ინგლისური ენა A2, ტურიზმის გერმანული ენა A1/A2, გერმანული ენა ეკონომისტებისათვის A2) შემსწავლელ პროგრამებზე მოწვეული მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **70 (სამოცდაათი)** ასტრონომიული საათით;

ზ) პროფესიული უცხო ენების (ტურიზმის ინგლისური ენა B1/B2, ინგლისური ენა ეკონომისტებისათვის B1/B2, გერმანული ენა ეკონომისტებისათვის B1/B2, საბანკო ინგლისური ენა B1, იურიდიული ინგლისური ენა B1/B2, ინგლისური ენა მედიკოსებისათვის B1, გერმანული ენა მედიკოსებისათვის B1/B2, ინგლისური ენა ინჟინრებისათვის B1, ინგლისური ენა აგროსპეციალისტებისათვის B1) შემსწავლელ პროგრამებზე მოწვეული მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **80 (ოთხმოცი)** ასტრონომიული საათით;

თ) ინგლისური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდების (TOEFL) მოსამზადებელ პროგრამაზე მოწვეული მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვა განისაზღვროს **80 (ოთხმოცი)** ასტრონომიული საათით.

1.3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მიმართულების კოორდინატორის:

**ა) სამუშაო დატვირთვა - მსმენელთა თითოეულ ჯგუფზე 10 (ათი)** ასტრონომიული საათი (მსმენელებთან და მოსაწვევ პერსონალთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, მსმენელთა თითოეული ჯგუფის სასწავლო პროცესის მენეჯმენტი, ტექნიკური უზრუნველყოფა, აკადემიური კოორდინირება და ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება);

**ბ) შრომის ანაზღაურება** - ერთი ასტრონომიული საათი - **20 (ოცი) ლარის** ოდენობით.

2. „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 7 ნოემბრის N01-11/102 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი მისი გამოცემის დღიდანვე.
3. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და ფაკულტეტებს).
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **ჯ. ანანიძე**